სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია” ფილიალების ინვენტარის შესყიდვის მიზნით აცხადებს ღია ტენდერს

1) სს “ვითიბი ბანკი ჯორჯია” ფილიალების სარეკლამო გასაფორმებელი ინვენტარის შესყიდვის მიზნით აცხადებს ღია ტენდერს.

2) ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.

3) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე სამუშაო საათებში **7.02.2018წ. 18.00** საათამდე, შემდეგ მისამართზე – ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №14, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას” სათაო ოფისი შესყიდვების კოორდინაციის ჯგუფი.

4) ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სხვა მოთხოვნილი ინფორმაცია და სატენდერო შემოთავაზებები დედნების სახით ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ ერთი დახურული კონვერტით, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №14, შესყიდვების კოორდინაციის ჯგუფი, **2018 წლის 21 თებერვლის 18.00სთ/მდე**, სატენდერო შემოთავაზება უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული პრეტენდენტი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ (კონვერტზე აუცილებლად უნდა მიეთითოს წარმომდგენის დასახელება და რეკვიზიტები).

5) ძირითადთან ერთად დასაშვებია ალტერნატიული სატენდერო წინადადებების წარმოდგენაც.

6) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- ინფორმაციას მსგავსი საქმიანობის განხორციელების გამოცდილების შესახებ (განხორციელებული პროექტები).
- სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ სხვა ინფორმაციას და დოკუმენტაციას.

7) პრეტენდენტები, რომელთა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი ან სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნება წარმოდგენილი სრულყოფილად ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დაიშვებიან შეფასებისათვის.

საკონტაქტოპირი: მაკა კიზირია, მობ: 591 11 17 17; 224 24 24 (1232) ელ. ფოსტა: m.kiziria@vtb.ge

სატენდერო კომისია